ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების
საქალაქო სამსახური

KA0101339693006l6

№25/9910

21 / იანვარი / 2016 წ.

მოქალაქე თორნიკე დადიანს
მის: დოლიძის ქ. კორპ.6 ბ.24
01024068873

თქვენი 05.01.2016 წლის #1842/12 განცხადების პასუხად, სადაც ითხოვთ შპს „აიბი-მთიები"ს კუთვნილ ტერიტორიაზე (ქუთაისის ქ. #20 საკ/კოდ 01.13.05.013.015) სკოლის მშენებლობის მიზნით მწვანე ნარგავების გადარგვას, გაცნობებთ, რომ საქართველოს კანონის „ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ" მე-2 თავის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და აიპ „საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის"ს საექსპერტო დასკვნის შესაბამისად სამსახური თანახმაა მოიჭრას 1 (ერთი) ძირი ზეხმელი კვიპაროსი დიამეტრით: 11.0სმ და 2 (ორი) ძირი ხმობადი კვიპაროსი დიამეტრით: 11.0სმ, 13.0სმ, რომელთა აღდგენითი ღირებულება შეადგენს 960 (ცხრაასსამოცი) ლარს. გაცნობებთ, რომ მეპატრონე ვალდებულია გადაიხადოს ხის აღდგენითი ღირებულება ამავე კანონის მე-2 თავის მე-5 მუხლის შესაბამისად და ქ. თბილისის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურში წარმოადგინოს მწვანე ნარგავების აღდგენითი ღირებულების გადახდის ქვითარი (საბიუჯეტო შემოსავლების სახაზინო კოდი-#300773292 ბანკის კოდი-TRESGE22), რომლის შემდგომაც გაიცემა მოჭრის შესაბამისი ნებართვა. ხოლო რაც შეეხება 11 (თერთმეტი) ძირ ახალგაზრდა კვიპაროსის ნერგს (დიამეტრები 9.0სმ, 13.სმ, 3.0სმ-5.0სმ) სამსახური თანახმაა გადაირგოს მიმდებარე ტერიტორიაზე აგროტექნიკური ღონისძიებების სრული დაცვით ისე, რომ არ დაირღვეს მათი სასიცოცხლო ფუნქცია.

ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის უფროსი — ნინო სულხანიშვილი

160/102-01
30.12.2015

ქალაქ თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურს

გაცნობებთ რომ სს „თიბისი ბანკი“ როგორც იპოთეკარი არარის წინაარმდეგი უძრავი ქონების ობიექტზე:

- მდებარე ქ. თბილისი ქუთაისის ქ. #20
- ს.კ. 01.13.05.013.015
- მესაკუთრე შპს 'აიბი - მთიები' ს.კ. 202166921

მოხდეს ახალი შენობის აშენება და მასთან დაკავშირებული სამშენებლო სამუშაოების წარმოება.

ლია გუგეშაშვილი

სს „თიბისი ბანკი“
ცენტრალური ფილიალის დირექტორი

ნასყიდობის ხელშეკრულება

თბილისი **14 ივლისი, 2011 წელი**

„სახელმწიფო ქონების შესახებ" საქართველოს კანონის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, „სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2010 წლის 16 სექტემბრის №1-1/1537 ბრძანებისა და „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შპს "აიბი მთიებისათვის" საქართველოს პრეზიდენტის 2011 წლის 27 ივნისის №27/06/07 განკარგულების საფუძველზე, წინამდებარე ნასყიდობის ხელშეკრულება (შემდგომში **„ხელშეკრულება"**) გაფორმდა

ერთი მხრივ, **საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს,** (შემდგომში **„გამყიდველი"**), წარმოდგენილი პრივატიზების დეპარტამენტის, პრივატიზების ორგანიზების სამმართველოს უფროსის - დავით მიქაძის, (პირადი №01024026687) მიერ, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 11.07.11 წ. №06/14936 მინდობილობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში,

და მეორე მხრივ, შპს "აიბი მთიები" (საიდენტიფიკაციო კოდი №202166921), წარმოდგენილი მისი დირექტორის - ნინო ჩიკვაიძის (პირადი №01024016177) მიერ (შემდგომში **„მყიდველი"**) შორის

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების თანახმად, „გამყიდველი" გადასცემს, ხოლო „მყიდველი" იღებს საკუთრებაში არსებულ ქ. თბილისში, ქუთაისის ქუჩის №20-ში მდებარე სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ 5117კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №01.13.05.013.015) და მასზე განთავსებულ №1 და №2 შენობა-ნაგებობებს, საერთო ფართობით – 3764კვ.მ - (შემდგომში წოდებული, როგორც „ქონება").

2. საპრივატიზებო საფასური და გადახდის წესი

2.1 „მყიდველი" ვალდებულია გადაიხადოს საპრივატიზებო საფასური 500 000 (ხუთასი ათასი) ლარის ოდენობით, ამ ხელშეკრულების პირობების თანახმად, ერთი თვის ვადაში და წარმოუდგინოს გამყიდველს საპრივატიზებო საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

2.2. საპრივატიზებო საფასურის გადახდა განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, თანხის გამყიდველის მიერ მითითებულ შემდეგ საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვის გზით:

სალარე ანგარიში:

ები – ხაზინის ერთიანი ანგარიშის სხვა შემოსულობები (ცენტრალიზებული)

ანგარიში №200122900

მიმღები ბანკი – სახელმწიფო ხაზინა

ბანკის კოდი: 220101222

სახაზინო კოდი: 302003307

3. მხარეთა უფლება-მოვალეობები

3.1 მეიჯარე ვალდებულია:

3.1.1 გადაიხადოს „ქონების" საპრივატიზებო საფასური და წარმოუდგინოს გამყიდველს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით დადგენილი პირობების შესაბამისად;

3.1.2 უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულების 1.1 პუნქტით გადაცემული "ქონების" 20 წლის ვადით ზოგადსაგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენება და მისთვის საგანმანათლებლო პროფილის შენარჩუნება;

3.1.3 უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულების 1.1 პუნქტით გადაცემულ "ქონებაში" არსებული საჯარო სკოლის ქართული სექტორის მოსწავლეებისათვის უსასყიდლოდ სწავლის უზრუნველყოფა (გარდა ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივის შესაბამისი ვაუჩერული დაფინანსებისა);

3.1.4 უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულების 1.1 პუნქტით გადაცემულ "ქონებაში" არსებულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ყოველწლიურად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განსაზღვრული წესით, სამინისტროს მიერ განსაზღვრული რაოდენობის (რომელიც არ უნდა იყოს იმ მოსწავლეთა რაოდენობაზე მეტი, რომლებიც ყოველწლიურად დაძლევენ საშუალო საფეხურს) პირველკლასელების უფასოდ ჩარიცხვა და მათი უსასყიდლოდ სწავლის უზრუნველყოფა (გარდა ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივის შესაბამისი ვაუჩერული დაფინანსებისა) საშუალო საფეხურის დასრულებამდე;

3.1.5 უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთ თვეში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განსაზღვრულ საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ის ანგარიშზე 500 000 (ხუთასი ათასი) ლარის ჩარიცხვა;

3.1.6 უზრუნველყოს 2012 წლის 1 ივლისამდე წინამდებარე ხელშეკრულების 1.1 პუნქტით გადაცემული "ქონების" ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, რისთვისაც უნდა განახორციელოს არანაკლებ 200 000 (ორასი ათასი) ლარის ინვესტიცია;

3.1.7 ამ მუხლის 3.1.6 ქვეპუნქტით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობის შესრულების უზრუნველსაყოფად, წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი თვის ვადაში წარმოადგინოს განსახორციელებელი ინვესტიციის არანაკლებ 10%-ის ოდენობის უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია, რომლის ვადაც საინვესტიციო ვალდებულების შესრულების ვადას უნდა აღემატებოდეს ორი თვით;

3.1.8 წინამდებარე ხელშეკრულების 3.1.2; 3.1.3; 3.1.4; 3.1.5 და 3.1.6 ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობის შესრულების დადასტურების მიზნით, გამყიდველს წარუდგინოს "საექსპერტო და აუდიტორული დასკვნების გამცემ პირთა ნუსხის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 30 დეკემბრის №1064 განკარგულებით განსაზღვრული ერთ-ერთი აუდიტორული კომპანიის მიერ

ქომზადებული აუდიტორული დასკვნა ვადის დასრულებიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღისა;
3.1.9 უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის თანხის ოდენობის შემცირების შემთხვევაში 1 თვის ვადაში შეავსოს იგი მის სრულ ოდენობამდე;
3.1.10 დაარეგისტრიროს საჯარო რეესტრში წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები, მათ შორის საპრივატიზებო საფასურის გადახდის ვალდებულება;
3.1.11 დაფაროს საჯარო რეესტრში წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებებისა და „ქონების" რეგისტრაციის ხარჯი. დაფაროს ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებული სანოტარო ხარჯები, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
3.1.12 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, დაიცვას ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და მათ შესრულებაზე „გამყიდველს" წარუდგინოს ინფორმაცია „გამყიდველის" მოთხოვნისთანავე, მაგრამ არაუგვიანეს წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღისა.
3.2 მყიდველს უფლება აქვს გამყიდველის თანხმობის შემთხვევაში, საპრივატიზებო საფასურის გადახდისა და საპრივატიზებო ვალდებულებების შესრულების მიზნით იპოთეკით დატვირთოს „ქონება".
3.3. "გამყიდველი" ვალდებულია "მყიდველის" მიერ ვალდებულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში გასცეს ვალდებულების სრულად ან მისი ნაწილის შესრულების წერილობითი დადასტურება, რომელიც შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოში ვალდებულების გაუქმების ან მასში ცვლილების რეგისტრაციის საფუძველია.
3.4. მხარეებს უფლება აქვთ, მოსთხოვონ ერთმანეთს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად, სრულად და დროულად შესრულება.

4. ხელშეკრულების განსაკუთრებული პირობები

4.1 „მყიდველს" საკუთრების უფლება გადაეცემა ხელშეკრულების ხელმოწერისა და საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან. ამასთან, მყიდველი ვალდებულია საჯარო რეესტრში დააარეგისტრიროს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და მათ შორის საპრივატიზებო თანხის გადახდის ვალდებულება.
4.2 "მყიდველს" „ქონება" გადაეცემა ნასყიდობის ხელშეკრულების ხელმოწერისა და საჯარო რეესტრში საკუთრების უფლების რეგისტრაციის მომენტიდან.
4.3. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები შესრულებულად ითვლება „გამყიდველის" მიერ მათი დადასტურების მომენტიდან.
4.4. თუ "მყიდველი" წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში არ წარმოადგენს საპრივატიზებო საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს, "მყიდველისათვის" საპრივატიზებო საფასურის გადახდისათვის მიცემული დამატებითი ვადის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში, "გამყიდველის" წერილობითი მიმართვის საფუძველზე საჯარო რეესტრში უქმდება წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი „მყიდველის" საკუთრების უფლება და ქონება რეგისტრირდება სახელმწიფო საკუთრებად.
4.5. „მყიდველს" „ქონების" საპრივატიზებო საფასურის გადახდამდე არ აქვს უფლება გადაცემული ქონება გასცეს სარგებლობის უფლებით ან სხვაგვარად დატვირთოს, გარდა ამ ხელშეკრულების 3.2 პუნქტით განსაზღვრული შემთხვევისა. ამასთან, ის პასუხისმგებელია მიღებული ქონების მოვლა-პატრონობასა და დაცვაზე.

4.6. „გამყიდველის“ მიერ „მყიდველზე“ საპრივატიზებო საფასურის სრულად გადახდიდან, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში „მყიდველის“ მიერ პრივატიზებული ქონების გასხვისების შემთხვევაში, “მყიდველი” ვალდებულია ქონება ახალ მესაკუთრეზე გაასხვისოს იმავე პირობებით, რაც გათვალისწინებული იყო სამინისტროსა და მას შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულებით. ქონების გასხვისების შესახებ წერილობით უნდა ეცნობოს სამინისტროს.
4.7. „ქონების“ ნაწილობრივ გასხვისების შემთხვევაში ახალი მესაკუთრე „მყიდველთან” ერთად სოლიდარულად აგებს პასუხს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისათვის.
4.8. “მყიდველის” მიერ წარმოდგენილი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია მისი მოქმედების განმავლობაში უზრუნველყოფს “მყიდველის” მიერ შესასრულებელი ვალდებულებების შეუსრულებლობის შედეგად დაკისრებული პირგასამტეხლოს მოთხოვნის დაკმაყოფილებას.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა და ხელშეკრულების შეწყვეტა

5:1 წინამდებარე ნასყიდობის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, სახელმწიფო ქონების შემძენი იღებს წერილობით გაფრთხილებას, რომელშიც მიეთითება დარღვევის გამოსწორების ვადა და პირგასამტეხლოს ოდენობა.
5.2 პირგასამტეხლო განისაზღვრება შემდეგნაირად:

5.2.1. წინამდებარე ხელშეკრულების 2.1 ქვეპუნქტში განსაზღვრული საპრივატიზებო საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში, “გამყიდველი” “მყიდველს” გადასცემს დარღვევის ხასიათის აღმწერ წერილობით შეტყობინებას, რომელშიც მიეთითება დარღვევის გამოსწორების ვადა და იმავდროულად დააკისრებს პირგასამტეხლოს გადაუხდელი თანხის 0,1% ოდენობით დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;
5.2.2. წინამდებარე ხელშეკრულების 3.1.2; 3.1.3; 3.1.4; 3.1.5 და 3.1.7 ქვეპუნქტებით განსაზღვრული ვადის დარღვევისათვის “გამყიდველი” “მყიდველს” გადასცემს დარღვევის ხასიათის აღმწერ წერილობით შეტყობინებას, რომელშიც მიეთითება დარღვევის გამოსწორების ვადა და იმავდროულად დააკისრებს პირგასამტეხლოს 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

5.2.3. წინამდებარე ხელშეკრულების 3.1.6 ქვეპუნქტით განსაზღვრული საინვესტიციო ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, გამყიდველი მყიდველს გადასცემს დარღვევის ხასიათის აღმწერ წერილობით შეტყობინებას, რომელშიც მიეთითება დარღვევის გამოსწორების ვადა და იმავდროულად დააკისრებს პირგასამტეხლოს დარჩენილი განსახორციელებელი ინვესტიციის 0,1% ოდენობით დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

5.2.4. ხელშეკრულებით ნაკისრი სხვა ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში გამყიდველი მყიდველს გადასცემს დარღვევის ხასიათის აღმწერ წერილობით შეტყობინებას, რომელშიც მიეთითება დარღვევის გამოსწორების ვადა და იმავდროულად დააკისრებს პირგასამტეხლოს

500 (ხუთასი) ლარის ოდენობით დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

5.3. დაკისრებული პირგასამტეხლოს თანხის გადახდა არ ათავისუფლებს მყიდველს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

5.4. წინამდებარე ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების განმეორებით შეუსრულებლობის შემთხვევაში ან/და დაწესებულ ვადაში პირგასამტეხლოს გადაუხდელობა გამყიდველის მიერ განიხილება ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის საფუძვლად. ასეთ შემთხვევაში პრივატიზებული ქონება უბრუნდება პრივატიზების განმახორციელებელ ორგანოს. სახელმწიფო ქონების შემძენს არ უნაზღაურდება გადახდილი თანხები და გაწეული დანახარჯები.

5.5. „მყიდველის" მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შედეგად "გამყიდველის" მხრიდან ნასყიდობის ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის შემთხვევაში, უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის თანხა სრულად ირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტში.

6. ფორს-მაჟორი

6.1 მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების გამო, თუ ამგვარი შეუსრულებლობა გამოწვეული იყო ფორს-მაჟორული გარემოებით. წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებისთვის ფორს-მაჟორულ გარემოებად ჩაითვლება გარემოება ან მოვლენა, რომელიც ცდება გამყიდველის ან მყიდველის კონტროლის ფარგლებს და რომლის დადგომაც წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას შეუძლებელს ხდის, და რომელიც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება სტიქიური უბედურებებით, გაფიცვებით, საბოტაჟით და სხვა სახის წარმოების შეფერხებით, სამოქალაქო არეულობით, ომით, (გამოცხადებული თუ გამოუცხადებელი), ან სხვა სამხედრო, ტერორისტული ან პარტიზანული მოქმედებებით, ბლოკადით, აჯანყებით, მიწისძვრებით, ზავებით ან სხვა მსგავსი მოვლენით, რომელიც არ ექვემდებარება იმ მხარის კონტროლს, რომელზეც ასეთი ფორს-მაჟორული მოვლენა ახდენს გავლენას და რომლის თავიდან აცილება ასეთ მხარეს არ შეეძლო.

6.2 მხარე, რომელიც ვერ ასრულებს მის ვალდებულებებს ფორს-მაჟორული გარემოების ან მოვლენის გამო, ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ხსენებული გარემოების და მოვლენის როგორც დადგომის, ასევე შეწყვეტის შესახებ არაუგვიანეს 72 საათისა მისი დადგომიდან ან შეწყვეტიდან. წინააღმდეგ შემთხვევაში, მხარე კარგავს უფლებას, მიუთითოს აღნიშნულ მოვლენებზე და გარემოებებზე, როგორც ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების გამო პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძველზე. შეტყობინებაში მითითებული უნდა იყოს მოვლენის ან გარემოების აღწერა და მათი ზეგავლენა ამ მხარის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებაზე, ისევე, როგორც ასეთი ვალდებულებების შესრულების დაგვიანების მოსალოდნელი ვადა.

6.3 ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის და მათი დადასტურების შემთხვევაში, მხარეების მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების ვადა გადაიდება ფორს-მაჟორული გარემოების ხანგრძლივობის შესაბამისად.
6.4 ვადის ათვლა განახლდება იმ ფორს-მაჟორული გარემოების მოქმედების შეწყვეტის დღიდან, რომელიც წარმოადგენდა სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების შეჩერების საფუძველს. ვადის დარჩენილი ნაწილი გადაიწევს შეჩერების ხანგრძლივობის შესაბამისად.
6.5. ფორს-მაჟორული გარემოებების 1 თვეზე მეტი ხნით გაგრძელების შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან განიხილონ ხელშეკრულების შეწყვეტის ან შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგების საკითხი.

7. შეტყობინებები

7.1 ნებისმიერი შეტყობინება და მიმოწერა მხარეებს შორის უნდა განხორციელდეს წერილობით ქართულ ენაზე და გადაცემულ უნდა იქნეს (I) პირადად, (II) ფაქსის მეშვეობით, (III) შეკვეთილი წერილის მეშვეობით, ან (IV) კურიერის მეშვეობით, ქვემოთ მითითებულ მისამართებზე ან სხვა მისამართზე წინასწარი შეტყობინებით.
7.2. წინამდებარე ხელშეკრულების 6.1 პუნქტის მიზნებისათვის მხარეთა რეკვიზიტებია:

7.2.1. გამყიდველის შემთხვევაში:

მიმღები: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

მისამართი: ჭანტურიას ქ. №12, თბილისი, საქართველო;

ტელ: 995 32 991105; 991111

ფაქსი: 995 32 921534

7.2.2. მყიდველის შემთხვევაში:

მიმღები: შპს "აიბი მთიები"

მისამართი: ანტონოვსკაიას 9ა, თბილისი, საქართველო

ტელ: +995 32 2 306 406

ფაქსი: + 995 32 2 372 066

7.3. მყიდველი ვალდებულია შეატყობინოს გამყიდველს მის საიდენტიფიკაციო მონაცემებში ნებისმიერი ცვლილების, მათ შორის მისამართის ცვლილების შესახებ, ამგვარი ცვლილების განხორციელებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღისა. წინააღმდეგ შემთხვევაში გამყიდველის მიერ მყიდველის ძველ მისამართზე გაგზავნილი ნებისმიერი კორესპონდენცია, მათ შორის წერილობითი გაფრთხილება ჩაითვლება ჩაბარებულად;

8. მარეგულირებელი კანონმდებლობა, დავების გადაწყვეტა

8.1 წინამდებარე ხელშეკრულება რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
8.2. მხარეთა შორის დავის არსებობის შემთხვევაში საკითხი წყდება მხარეთა შეთანხმებით. შეთანხმების მიუღწეველობის შემთხვევაში დავას წყვეტს საქართველოს სასამართლო საქართველოს კანონმდებლობის თანახმად.

9. სხვა დებულებები
9.1. წინამდებარე ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილებისა ან დამატების განხორციელება დასაშვებია მხარეთა წერილობითი თანხმობის საფუძველზე, რომელიც გაფორმდება როგორც ცალკე ხელშეკრულება და დაერთვება წინამდებარე ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
9.2 ხელშეკრულების ყველა ცვლილება/დამატება ან/და დანართი წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
9.3. საკითხები, რომლებიც არ არის რეგულირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, წყდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
9.4. ამ ხელშეკრულების ცალკეული პუნქტების გაუქმება ან/და ბათილობა არ იწვევს ხელშეკრულების სხვა პუნქტების გაუქმებას ან/და ბათილობას.
9.5. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე უფლების გამოუყენებლობა არ წარმოადგენს ამ უფლებაზე უარის თქმას.
9.6. წინამდებარე ხელშეკრულება გაფორმებულია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 5 (ხუთი) ეგზემპლარად, რომლებიც გადაეცემა მხარეებს და საჯარო რეესტრს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის დასტურად, წინამდებარე ხელშეკრულების მხარეებმა, რომლებიც მოქმედებენ თავიანთი სათანადოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების მეშვეობით, ხელი მოაწერეს წინამდებარე ხელშეკრულებას მითითებულ თარიღში.

გამყიდველი

დავით მიქაძე

~~სახელი~~, გვარი:

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

მყიდველი

ნინო ჩიკვაიძე

~~სახელი~~, გვარი:

შპს "აიბი მთიები"

ხელშეკრულება

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და შპს "აიბი მთიებს"
შორის 2011 წლის 14 ივლისს გაფორმებულ ნასყიდობის ხელშეკრულებაში
ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველო

22 მარტი, 2013 წელი

ქ. თბილისი,

ერთი მხრივ, **სსიპ "სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო"** (შემდგომში "გამყიდველი"), წარმოდგენილი იურიდიული დეპარტამენტის სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოს შტატგარეშე მომუშავის სალომე მესხიას (პირადი №01005030011) სახით, მოქმედი სსიპ "სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს" 2013 წლის 4 იანვარს გაცემული №4/114 მინდობილობით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე და ფარგლებში,

და მეორე მხრივ, **შპს "აიბი მთიები"**, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, დაფუძნებული და მოქმედი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მისამართი ქ. თბილისი, ანტონოვსკაიას ქ. №9ა, საიდენტიფიკაციო კოდი №202166921 (შემდგომში, "მყიდველი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის, ნინო ჩიკვაიძის (პირადი №01024016177) მიერ,

ერთად წოდებული, როგორც "მხარეები",

ვხელმძღვანელობთ რა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და **შპს "აიბი მთიებს"** შორის 2011 წლის 14 ივლისს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულებით, ვდებთ წინამდებარე შეთანხმებას შემდეგზე:

მუხლი 1

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და **შპს "აიბი მთიებს** შორის 2011 წლის 14 ივლისს გაფორმებულ ნასყიდობის ხელშეკრულებაში (შემდგომში "ხელშეკრულება") შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება:

ა) მესამე მუხლის პირველი პუნქტის მე-8 ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"3.1.8 წინამდებარე ხელშეკრულების 3.1.2, 3.1.3 და 3.1.4 ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ საპრივატიზებო პირობების შესრულების დადასტურების მიზნით, "გამყიდველი" წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში წარუდგინ "გამყიდველს" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, მის სისტემა

ი დაწესებულების/საჯარო სამართლის იურიდიული პირის და/ან სხვა კომპეტენტური ოს მიერ გაცემული შესაბამისი დოკუმენტი და მხოლოდ "გამყიდველის" მხრიდან ტებით მოთხოვნის შემთხვევაში - "საწარმოებისათვის აუდიტირებული ფინანსური გარიშგების განმახორციელებელ ან/და საექსპერტო და აუდიტორული დასკვნების გამცემ პირთა და სახელმწიფო საწარმოთა ნუსხის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2012 წლის 5 სექტემბრის №360 დადგენილებით განსაზღვრული ერთ-ერთი აუდიტორული კომპანიის მიერ მომზადებული აუდიტორული დასკვნა დამატებით ასეთი მოთხოვნის წერილობით მიღებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში. ხოლო წინამდებარე ხელშეკრულების 3.1.6 ქვეპუნქტით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობების შესრულების დადასტურების მიზნით, "მყიდველი" ვალდებულია "გამყიდველს" წარუდგინოს "საწარმოებისათვის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების განმახორციელებელ ან/და საექსპერტო და აუდიტორული დასკვნების გამცემ პირთა და სახელმწიფო საწარმოთა ნუსხის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2012 წლის 5 სექტემბრის №360 დადგენილებით განსაზღვრული ერთ-ერთი აუდიტორული კომპანიის მიერ მომზადებული აუდიტორული დასკვნა შესრულების ვადის დასრულებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში".

ბ) მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის პირველი ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"7.2.1 "გამყიდველის" შემთხვევაში:
მიმღები: სსიპ "სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო"
მისამართი: ჭანტურიას ქ. №12, თბილისი, საქართველო;
ტელ: 995 32 2991072; 2991111.

მუხლი 2.

2.1 "ხელშეკრულებაში" განხორციელებული ცვლილებები არ ცვლის "ხელშეკრულების" სხვა მუხლების შინაარსს. ყველა სხვა მუხლით დადგენილი მხარეთა უფლებები და მოვალეობები რჩება უცვლელი.

2.2 "ხელშეკრულებაში" განხორციელებული ცვლილებები და დამატებები მიიჩნევა "ხელშეკრულების" შინაარსის ნაწილად და მხედველობაში მიიღება "ხელშეკრულების" განმარტების დროს.

მუხლი 3.

3.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია "მხარეების" მიერ ხელმოწერისა და სსიპ "საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში" რეგისტრაციის მომენტიდან.

3.2 წიანმდებარე ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომლებიც გადაეცემა "მხარეებს" და საჯარო რეესტრს.

"გამყიდველი"

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო"

მომადგენელი:

სალომე მესხია

"მყიდველი"

შპს შპს "აიბი მთიები"

წარმომადგენელი:

ნინო ჩქვაიძე

ხელშეკრულება

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და შპს "აიბი მთიებს" შორის 2011 წლის 14 ივლისს გაფორმებულ ნასყიდობის ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველო

ქ. თბილისი 30 მაისი 2012 წელი

ერთი მხრივ, **საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო,** (შემდგომში "გამყიდველი") წარმოდგენილი სამინისტროს პრივატიზების დეპარტამენტის, პრივატიზების ორგანიზების სამმართველოს მთავარი სპეციალისტის ნინო კობალაძის (პირადი №01033004131) სახით, მოქმედი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2012 წლის 03 იანვრის №06/28 მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში,

და მეორე მხრივ **შპს "აიბი მთიები" (ს/კ№ 202166921)** წარმოდგენილი დირექტორის ნინო ჩიქვაიძის (პირადი №01024016177) სახით (შემდგომში -„მყიდველი") (ერთად წოდებული, როგორც "მხარეები"),

ვხელმძღვანელობთ რა, "სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შპს "აიბი მთიებისათვის" პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2011 წლის 27 ივნისის №27/06/07 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 7 მაისის №07/05/03 განკარგულებისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და შპს "აიბი მთიებს" შორის 2011 წლის 14 ივლისს გაფორმებულ ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1

1.1 საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და **შპს "აიბი მთიებს"** შორის 2011 წლის 14 ივლისს გაფორმებულ ნასყიდობის ხელშეკრულებაში (*შემდგომში;* "ხელშეკრულება") შეტანილ იქნას ცვლილება და ხელშეკრულების 3.1.4 ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"3.1.4. უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულების 1.1 პუნქტით გადაცემულ ქონებაში არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ყოველწლიურად, 8 წლის განმავლობაში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განსაზღვრული წესით, პირველკლასელების ჩარიცხვა (რომელთა რაოდენობა არ უნდა იყოს ამ ხელშეკრულების 1.1 პუნქტით გადაცემულ ქონებაში 2010-2011 სასწავლო წლის დასასრულისათვის არსებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების იმ მოსწავლეთა რაოდენობაზე მეტი, რომლებმაც 2010-2011 სასწავლო წელს დაბლიეს საშუალო საფეხური) და მათი უსასყიდლოდ სწავლა (გარდა ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივის შესაბამისი ვაუჩერული დაფინანსებისა) საშუალო საფეხურის დასრულებამდე."

მუხლი 2.

2.1 ხელშეკრულებაში შესული ცვლილებები და დამატებები არ ცვლის ხელშეკრულების სხვა მუხლების შინაარსს. ყველა სხვა მუხლებით დადგენილი მხარეთა უფლებები და მოვალეობები რჩება უცვლელი.

2.2 ხელშეკრულებაში განხორციელებული ცვლილებები და დამატებები მიიჩნევა ხელშეკრულების შინაარსის ნაწილად და მხედველობაში მიიღება ხელშეკრულების განმარტების დროს.

მუხლი 3.

3.1 ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა ხელმოწერის დღიდან და სსიპ "საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში" რეგისტრაციის მომენტიდან.

3.2 ხელშეკრულება ძალაშია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და **შპს "მთიებს"** შორის 2011 წლის 14 ივლისს გაფორმებულ ნასყიდობის ხელშეკრულებასთან ერთად.

3.3 ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიული ძალის მქონე 5 (ხუთი) ეგზემპლარად.

გამყიდველი

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
წარმომადგენელი
ნინო კობალაძე

მყიდველი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
"აიბი მთიების"
დირექტორი
ნინო ჩიკვაიძე

ხელშეკრულება

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და შპს "აიბი მთიებს" შორის 2011 წლის 14 ივლისს დადებულ ნასყიდობის ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველო

ქ. თბილისი 27 სექტემბერი 2011 წელი

ერთი მხრივ, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო (*შემდგომში;* "გამყიდველი"), წარმოდგენილი პროვატიზების დეპარტამენტის ორგანიზების სამმართველოს მთავარი სპეციალისტის ნინო კობალაძის (პირადი №01033004131) მიერ, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2011 წლის 27 სექტემბრის № 06/21662 მინდობილობით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე და

მეორე მხრივ, შპს "აიბი მთიები" (საიდენტიფიკაციო კოდი: №202166921) (*შემდგომში;* "მყიდველი") წარმოდგენილი დირექტორის, ნინო ჩიკვაიძის (პირადი №01024016177) სახით, (*შემდგომში ერთად წოდებულნი,* როგორც "მხარეები"), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 78-ე მუხლის და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და შპს "აიბი მთიებს" შორის 2011 წლის 14 ივლისს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების 9.1. პუნქტის საფუძველზე შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1

1. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და შპს "აიბი მთიებს" შორის 2011 წლის 14 ივლისს დადებულ ნასყიდობის ხელშეკრულებაში (*შემდგომში;* "ხელშეკრულება") შეტანილ იქნეს ცვლილება და ხელშეკრულების 3.1.8 ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"3.1.8 წინამდებარე ხელშეკრულების 3.1.2 3.1.3 3.1.4 და 3.1.6 ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობის შესრულების დადასტურების მიზნით "გამყიდველს" წარუდგინოს "საექსპერტო და აუდიტორული დასკვნების გამცემ პირთა ნუსხის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს

საავრობის 2009 წლის 30 დეკემბრის №1064 განკარგულებით გახსაზღვრული ერთ-ერთი აუდიტორული კომპანიის მიერ მომზადებული აუდიტორული დასკვნა ვადის დასრულებიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღისა".

მუხლი 2

2.1. ხელშეკრულებაში შესული ცვლილება არ ცვლის ხელშეკრულების სხვა მუხლების შინაარსს. ყველა სხვა მუხლებით დადგენილი მხარეთა უფლებები და მოვალეობები რჩება უცვლელი.
2.2. ხელშეკრულებაში განხორციელებული ცვლილება მიიჩნევა ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად და მხედველობაში მიიღება ხელშეკრულების განმარტების დროს.

მუხლი 3

3.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა ხელმოწერისა და სსიპ "საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში" რეგისტრაციის მომენტიდან.
3.2. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და შპს "აიბი მთიებს" შორის 2011 წლის 14 ივლისს დადებულ ნასყიდობის ხელშეკრულებასთან ერთად.
3.3. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 5 ეგზემპლარად.

გამყიდველი
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
პრივატიზების დეპარტამენტის ორგანიზების სამმართველოს
მთავარი სპეციალისტი
სახელი, გვარი: ნინო კობალაძე

მყიდველი
შპს "აიბი მთიები"
დირექტორი:
სახელი, გვარი: ნინო ჩიკვაიძე

KazTransGas
TBILISI

შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისი"
ООО "КАЗТРАНСГАЗ-ТБИЛИСИ"

№01-05-06/292 "17" 02 2016 წ/г

სკოლა-პანსიონ აიბ-მთიების დირექტორის
მოვალეობის შემსრულებელს ანა ჯავახიშვილს
ქ. თბილისი, ქუთაისის ქ. N20
საკონტ. ტელეფონი: 230 64 06

ქალბატონო ანა,

თქვენი 2016 წლის 12 თებერვლის N1240 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისი" არ არის წინააღმდეგი განახორციელოთ ქ. თბილისში, ქუთაისის ქ. N20 -ში მდებარე სკოლის ტერიტორიაზე ახალი ბლოკის მშენებლობა იმ შემთხვევაში, თუ არ შეიზღუდება აღნიშნულ მისამართზე განთავსებული გაზსადენის თავისუფალი დათვალიერების და საჭიროების შემთხვევაში რემონტის შესაძლებლობა.

პატივისცემით,

შპს"ყაზტრანსგაზ–თბილისის"
სპეციალური მმართველი ნინო თურმანიძე

მოამზადა: ქ. მაჭარაშვილი
ტელ: 599 46 83 83

005575

საქართველო,თბილისი, 0194
მიცკევიჩის ქ. № 18 ა
ტელ/ფაქსი: (+995 32) 237 64 93
ელ.ფოსტა: support@ktg-tbilisi.ge
ვებ გვერდი:https://www.ktg-tbilisi.ge/

Грузия,Тбилиси 0194
Ул. Мицкевича № 18 а
Тел/факс: (+995 32) 237 64 93
Эл.почта: support@ktg-tbilisi.ge
Веб-сайт: https://www.ktg-tbilisi.ge/

18 a, Mickevich Street
0194, Tbilisi, Georgia
Tel/fax: (+995 32) 237 64 93
E-mail: support@ktg-tbilisi.ge
Website: https://www.ktg-tbilisi.ge/

gwp
მეტი ვიდრე უბრალოდ წყალი
MORE THAN JUST WATER

№ 5930/09 D 30 06 15

შპს "აიბი მთიები"-ს,
ქუთაისის ქუჩა N20, 01.13.05.013.015

შპს-მ "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი" განიხილა თქვენი განცხადება, დათარიღებული 17.06.15 წ. დარეგისტრირებული №9062/04, 17.06.15 წ., სადაც ითხოვთ ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე წყალმომარაგება-წყალარინების ქსელების მდებარეობის შესახებ ინფორმაციას.

კომპანიის შესაბამისი დეპარტამენტების დასკვნის საფუძველზე გაცნობებთ, რომ ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე კომპანიის ბალანსზე არსებული წყალსადენ-წყალარინების ქსელები არ გაედინება. გაედინება თქვენი მკვებავი დ=50 მმ-იანი წყალსადენის განშტოება, რომლის მოვლა პატრონობა მფლობელის მოვალეობაა.

პატივისცემით,

კონსტანტინე ღამბაშიძე

ახალი მიერთებების ჯგუფის უფროსი სპეციალისტი/წამყვანი

შპს ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი GEORGIAN WATER AND POWER LTD
მის: 0179 თბილისი, მ. კოსტავას 1 შესახვევი №33
ელ-ფოსტა: info@georgianwater.com
ტელ: +995 (32) 293 11 11; ფაქსი: +995 (32) 298 26 07
www.georgianwater.com

АО „ТЕЛАСИ“ სს „თელასი“

Номер: 0301/277

Дата: 01/03/2016

სკოლა პანსიონი IB მთიების

დირექტორ ქ-ნ ნინო ჩიკვაიძეს

მის:ქუთაისის ქ#20

თქვენი 25.02.2016 წლის #0225/152 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ მითითებულ მისამართზე ქუთაისის ქ#20 მიწის ნაკვეთის ს. კ. 01.13.05.013.015 მიმდებარედ გადის სს „თელასის" კუთვნილი 6კვ–იანი საკაბელო ელ. გადამცემი ხაზი.

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბერის #366 დადგენილება. „ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ (მუხლი 3, პუნქტი ბ)

ბ) საკაბელო ელექტროგადამცემი ხაზებისათვის:

ბ.ა) მიწისქვეშა საკაბელო ელექტროგადამცემი ხაზის გასწვრივ მიწის ნაკვეთი, შემოსაზღვრული ვერტიკალური სიბრტყეებით, რომლებიც ხაზის ორივე მხარეს განაპირა კაბელებიდან დაშორებულია შემდეგი მანძილით:

ბ.ა.ა) 1 კვ-ის ზევით - 1 მეტრი ორივე მხრიდან;

ბ.ა.ბ) 1 კვ-ამდე - 1 მეტრი ორივე მხრიდან; თუ საკაბელო ელექტროგადამცემი ხაზი გადის დასახლებათა ტროტუარების ქვეშ, მაშინ - 0,6 მეტრი შენობა-ნაგებობის მხარეს და 1 მეტრი ქუჩის სავალი ნაწილის მხარეს;

სს „თელასი" არ არის წინააღმდეგი აწარმოოთ მშენებლობა, თუ დაცული იქნება ზემოთ აღნიშნული ნორმები.

სს „თელასის" გენერალური

დირექტორი ს. კობცევი

შემსრ.შრომის დაცვისა და სახანძრო უსაფრთხოების

განყოფილების უფროსი მ. ჩიღუნაძე

საქართველო, თბილისი, 0119 ვანის ქ.3
Грузия, Тбилиси 0119, ул. Ванская 3
Тел.: +995 (32) 277 99 99; Факс: +995 (32) 277 99 81
www.telasi.ge